



CASE BRIEF REPORT #3

აკრილის გამოცემა

ანბარიში იხილავთ:

სირიაში ვითარება ისევ გამწვავდა
“ისლამური სახელმწიფოს” დაფინანსების წყაროები
“ისლამური სახელმწიფო” ფინანსურ კრიზისს განიცდის
ბელგიიდან მომდინარე ტერორისტული საფრთხეები ევროპისთვის

ნიკოლოზ ხატიაშვილი
გიორგი რობაქიძე
თათია მოსიძე

სარჩევი

ავრილის გამოცემა	1
სირიაში ვითარება ისევ გამწვავდა	3
“ისლამური სახელმწიფოს” დაფინანსების წყაროები	6
“ისლამური სახელმწიფო” ფინანსურ კრიზისს განიცდის	11
ბელგიიდან მომდინარე ტერორისტული საფრთხეები ევროპისთვის	14
გამოყენებული წყაროები:	18
აკადემიის შესახებ	20

სირიაში ვითარება ისევ გამწვავდა

საერთაშორისო და რეგიონული აქტორების სრულიად ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესების გამო სირიის კრიზისის პოლიტიკური გზით დარეგულირების თვალსაზრისით რეალური ნაბიჯების გადადგმა კვლავინდებურად ვერ ხერხდება. ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე მიღწეული შეთანხმება რეალურად არ მოქმედებს და მხარეების დროებითი ზავით მხოლოდ მომავალი დაპირისპირებისთვის ხელსაყრელი პოზიციების მოპოვებას ცდილობენ.



სირიაში მიმდინარე წლის 27 თებერვალს ამოქმედებული ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შემდეგ მასშტაბური საბრძოლო მოქმედებები პირველად განახლდა. 22 აპრილიდან სირიის რეჟიმისა და ამბოხებულთა ფორმირებებს შორის შეტაკებები მოხდა როგორც ჩრდილოეთით ქალაქ ალეპოში, ისე დედაქალაქ დამასკოს აღმოსავლეთ ნაწილში. ამბოხებულების პროვოცირებას და ესკალაციის მასშტაბის ზრდას ემსახურებოდა 27 აპრილს ასადის მთავრობის ავიაციის მიერ ალეპოში ამბოხებულთა მიერ

კონტროლირებადი ჰოსპიტალის დაბომბვაც. სირიის სამოქალაქო ომში ამ ეტაპისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა სწორედ ქალაქ ალეპოსთვის მიმდინარე ბრძოლას გააჩნია.

სირიის რეჟიმი რუსეთის ირიბი მხარდაჭერით ცდილობს ქ. ალეპო ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების მოქმედების ზონიდან ერთგვარად „გამორიცხოს“ და დაბალი ინტენსიობის კამპანიით აღადგინოს მასზე სრული კონტროლი. 27 თებერვლის სამშვიდობო შეთანხმებამდე, სირიის რეჟიმის ძალებმა რუსეთის ავიაციის მხარდაჭერით ალეპოს ჩრდილოეთით გაქრეს კორიდორი, რითაც ალეპოსა და იდლიბის პროვინციაში დისლოცირებული ამბოხებულები ფაქტობრივად ალყაში მოაქციეს და მათი შემდგომი შესუსტებისათვის შექმნეს ნიადაგი. 22 აპრილიდან ალეპოში ვითარების ესკალაცია სწორედ ასადის რეჟიმის და რუსეთის მოქმედებების გაგრძელებას წარმოადგენს, რომლის ფარგლებშიც უნდა მოხდეს ამ ქალაქზე სრული კონტროლის აღდგენა და ამბოხებულთა სრული იზოლაცია. ასადის მთავრობა იმედოვნებს, რომ ამგვარად სირიის ჩრდილოეთში მოქმედ ამბოხებულებს, მათ შორის „ალ-ქაედას“ სირიის ფრთას „ალ-

ნუსრას ფრონტს“ გადამწყვეტ დარტყმას მიაყენებს, რაც ფაქტობრივად სამოქალაქო ომის ბედის გადანყვეტასაც ნიშნავს.



სირიაში მიმდინარე სამოქალაქო ომის ფონზე ასადის მთავრობა ყოველთვის ცდილობდა საკუთარი თავი კონსტრუქციულად წარმოეჩინა და ამგვარად აშშ-ის მხრიდან საპასუხო ზომები აეცილებინა. სწორედ აღნიშნულის გამო სირიის

რეჟიმი აშშ-რუსეთს შორის მოლაპარაკებების შემდეგ, 30 აპრილისთვის დათანხმდა ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის ამოქმედებას რამდენიმე მიმართულებით და შექმნა შთაბეჭდილება თითქოს შეთანხმებას იცავდა თუმცა ამავდროულად უარი განაცხადა ალექსოში მოქმედებების შეჩერებაზე. სირიის რეჟიმის ამგვარი მოქმედებების შედეგად კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა ჟენევის სამშვიდობო მოლაპარაკებების შემდგომი გაგრძელება. სირიის ოპოზიციამ ჟენევის სამშვიდობო მოლაპარაკებების მაგიდა დატოვა.

სირიის ოპოზიციის წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ პრეზიდენტი ასადი დიალოგს მხოლოდ დროის მოსაგებად იყენებს. ამის შედეგად ქვეყანაში სამთავრობო ძალების პოზიციების გამყარება უნდა მოხდეს, ხოლო ოპოზიცია ისეთ მდგომარეობაში ჩადგეს, როდესაც იძულებული გახდება მინიმალური მოთხოვნებით შემოიფარგლოს და პრეზიდენტ ასადის ძალაუფლებაში დარჩენას დათანხმდეს.

სირიის რეჟიმისა და რუსეთის ირიბ მოქმედებებს აშშ-მ დიპლომატიური ძალისხმევის გაძლიერებით უპასუხა. პრეზიდენტ ასადს მკაფიო მინიშნებები გაუგზავნა, რომელთა მიხედვითაც ვაშინგტონი არ შეეგუებოდა ქალაქ ალექსოის ცეცხლის შეწყვეტის ზონიდან გამორიცხვას და მასზე სირიის ამჟამინდელი მთავრობის სრული გავლენის აღდგენას. აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჯონ ქერიმ განაცხადა, რომ თუ ასადის რეჟიმი არ დაიცავდა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას ამას ომის მდგომარეობაში დაბრუნება მოჰყვებოდა. აგრეთვე ქერიმ აღნიშნა, რომ ვითარების ესკალაციის შედეგად ასადის რეჟიმი ვერ ნახავდა სარგებელს. ამგვარი განცხადებებით და დიპლომატიური ძალისხმევით აშშ-მ როგორც სირიის ამჟამინდელ მთავრობას, ისე რუსეთს ნათელად აჩვენა, რომ საპასუხო ზომების მიიღების მზაობა გააჩნია.

შედეგად უკვე 3 მაისს სერგეი ლავროვსა და ჯონ ქერის შორის მორიგი სატელეფონო საუბრის შემდეგ ცნობილი გახდა, რომ მხარეები 48 საათით ალექსოის მიმართულებითაც ცეცხლის შეწყვეტაზე შეთანხმდნენ, თუმცა ვითარება კვლავინდებურად დაძაბულია. სირიის ჩრდილოეთში განვითარებული მოვლენების ფონზე რიტორიკა თურქეთმაც გაამკაცრა და მკაფიოდ მიანიშნა, რომ სირიის რეჟიმის გააქტიურებას შესაბამისი ზომებით უპასუხებს. თურქეთმა კვლავინდებურად დაინყო საუბარი სირიაში სახმელეთო ოპერაციის ჩატარებაზე.



თურქეთის, პრემიერ მინისტრმა აჰმეთ დავითოღლუმ მკაფიოდ დააფიქსირა, რომ თურქეთი აუცილებლობის შემთხვევაში სირიაში სახმელეთო ქვედანაყოფებს გააგზავნის. მნიშვნელოვანია, რომ ანკარა სირიაში სახმელეთო შეჭრას გეგმავს „ ისლამური სახალიფოს “ მიერ კონტროლირებად მონაკვეთზე და არა უშუალოდ რეჟიმის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე.

თურქეთი იმედოვნებს, რომ არსებულ ვითარებაში „ისლამურ სახალიფოზე“ დარტყმით სირიის ცენტრალურ ნაწილში ამბოხებულთა ფორმირებებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელ სივრცეს შექმნის. ამავდროულად სირიის ცენტრალურ ნაწილში სამხედრო ინტერვენციით თურქეთი სირიელი ქურთების გავლენის შესუსტებასაც იმედოვნებს, რომელთა გაძლიერების ტენდენციასაც იგი სასიცოცხლო საფრთხის შემცველად განიხილავს.

ასეთი მოქმედება ანკარას საშუალებას უტოვებს თავიდან აიცილოს სირიის რეჟიმთან და რუსეთთან ღია სამხედრო კონფრონტაცია, რადგან თურქეთი უშუალოდ სირია-რუსეთის ძალებზე არ განახორციელებს დარტყმას.

მთლიანობაში სირიის კრიზისის ირგვლივ არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე ვითარების შემდგომი ესკალაცია ფაქტობრივად გარდაუვალია. რუსეთი და სირიის ამჟამინდელი მტავრობა აცნობიერებს, რომ ალექსოს დაკავების გარეშე მყარი პოზიციების უზრუნველყოფა შეუძლებელია. თავის მხრივ ამბოხებულები და მათი მხარდამჭერები ალექსოს დაცვას აგრეთვე კრიტიკულ მნიშვნელობას ანიჭებენ, რადგან ქალაქის დაცემის შემთხვევაში რეჟიმისთვის ორგანიზებული წინააღმდეგობის განევა უკიდურესად რთული იქნება.



“ისლამური სახელმწიფოს” დაფინანსების წყაროები

ნავთობი და ბენზინი

“ისლამური სახელმწიფოს” დაფინანსების წყაროებს შორის ერთ-ერთი მთავარი ადგილი უკავია ნავთობის და ბენზინის კონტრაბანდული გზებით გაყიდვის შედეგად მიღებულ შემოსავალს. მაგალითად ნედლი ნავთობის ერთი ცისტერნის გაყიდვის შედეგად „ისლამური სახელმწიფო“ იღებს 3 000\$-5 000\$ შემოსავალს. ზუსტი თანხის დასახელება, რომელსაც “ისლამური სახელმწიფო” იღებს ბენზინის და ნავთობის გაყიდვებისაგან რთულია, რადგან ეს „გაყიდვები“ ხდება ამ უკანასკნელის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, თან ნაღდი ფულის გამოყენებით.



[HTTP://WWW.VOSIZNEIAS.COM](http://www.vosizneias.com)

ბანკები და ადამიანებით ვაჭრობა

„ისლამური სახელმწიფოს“ შემოსავლის ასევე ერთ-ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენს ბანკები, რომლებიც ფუნქციონირებენ მის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე. ISIS-ი სახელმწიფო ბანკებს მთლიანად განკარგავს როგორც თავის საკუთრებას. კერძო ბანკებს და მათ ფილიალებს დაწესებული აქვთ „გადასახადი“, რომლის

ოდენობაც დამოკიდებულია მოსახლეობის მიერ გატანილი თანხების ოდენობაზე. ერთ-ერთი გათვლის თანახმად სახელმწიფო ბანკების დაუფლების შედეგად ისლამური სახელმწიფოს შემოსავალმა 1.5 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. ეს მხოლოდ ნაღდი ფულის სახით.

შემოსავლის კიდევ ერთ წყაროს წარმოადგენს ადამიანებით ვაჭრობა ძირითადად, ქალებითა და ბავშვებით. „BBC“-ს მიერ გამოკითხული ერთი ქალბატონი ყვებოდა, რომ ის გაანთავისუფლეს მონობიდან მას შემდეგ, რაც მისმა ნათესავებმა გამოსასყიდის სახით 3000\$ გადაიხადეს.

აგრარული სექტორი

“ისლამური სახელმწიფო” ასევე აკონტროლებს სირიასა და ერაყში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებს. გაეროს მონაცემებით „ისლამური სახელმწიფო“ განკარგავს ერაყში არსებულ ხორბლის მოსავლისა და მარაგების დაახლოებით 40%. ეს აძლევს საშუალებას „ისლამურ სახელმწიფოს“ არა მხოლოდ მიიღოს შემოსავალი ხორბლის ვაჭრობისაგან არამედ ასევე თავისი სტრატეგიული ხედვიდან გამომდინარე შეუწყვიტოს ხორბალზე წვდომა იეზიდ უმცირესობას, ასევე მათ ვინც არ იზიარებს ISIS-ის ხედვებსა და მიზნებს.

“ისლამური სახელმწიფოს” მიერ კონტროლირებად სირიის ტერიტორიაზე ფერმერები ვალდებული არიან მოსავლის ნაწილი გაიღონ „წმინდა მეომრების“ სასარგებლოდ „zakat“-ის გადასახადის სახით.

სოფლის მეურნეობის პროდუქციის გარდა, „ისლამური სახელმწიფო“ აკონტროლებს ყველა საწარმოს, რომლებიც განლაგებულია მის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე. მაგალითად სულფატის მწარმოებელი საწარმო ერაყში.

გატაცება გამოსასყიდის მოთხოვნის მიზნით

“FATF”-ის ექსპერტების გათვლის თანახმად მხოლოდ 2014 წელს ადამიანების გამოსასყიდის სახით „ისლამური სახელმწიფოს“ შემოსავალმა 20-30 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

“ისლამური სახელმწიფო” განსხვავებით სხვა ტერორისტული ორგანიზაციებისაგან კი არ ანადგურებს ინფრასტრუქტურასა და საწარმოებს, არამედ ცდილობს მათ მისაკუთრებას და სათავისოდ გამოყენებას.

შემოსავლები სხვადასხვა სახის „გადასახადებიდან“

ზემოთ ჩამოთვლილი შემოსავლების წყაროებთან ერთად, „ისლამური სახელმწიფო“ საკმაოდ დიდ თანხებს იღებს მის მიერ დაწესებული „გადასახადებიდან“.

მაგალითად “ხელფასის გადასახადი”- ყველა ადამიანი ვინც ცხოვრობს კონტროლირებად ტერიტორიაზე ვალდებულია გადაიხადოს ხელფასის 50%. გათვლების თანახმად ყოველწლიურად მხოლოდ ხელფასებიდან მიღებული თანხები რამდენიმე მილიონი აშშ დოლარის ექვივალენტია.

ნებისმიერი სატვირთო სატრანსპორტო საშუალება, რომელიც გადაადგილდება ISIS-ის კონტროლირებად ტერიტორიაზე ვალდებულია გადაიხადოს „ტრანზიტის გადასახადი“, რომელიც მერყეობს 200\$-დან 800\$-მდე, იმის მიხედვით, თუ რა მიმართულებით მიდის ტვირთი.

შემოსავლის სხვა წყაროები

“ისლამური სახელმწიფოს” შემოსავლების წყაროებს ასევე წარმოადგენს სხვა კრიმინალური ქმედებები, როგორცაა ქურდობა, ყაჩაღობა, კონტრაბანდა და ანტიკვარიატით ვაჭრობა.

ISIS-ის დაფინანსების მცირე წილი უცხოელ მებრძოლებზე მოდის. მაგალითად, ფულადი გზავნილები „ისლამური სახელმწიფოს“ სასარგებლოდ. ასევე დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც თურქეთის ერთ-ერთ აეროპორტში დააკავეს ადამიანი, რომელიც მიემგზავრებოდა სირიაში საბრძოლველად, თან მიჰქონდა სპორტული ფეხსაცმელები, კამუფლაჟი, ბინოკლები, სხვა მატერიალური დახმარება და AK-47 ტიპის ავტომატის ნაწილები და ამუნიცია.

“ისლამური სახელმწიფო” ფინანსების მოძიებისათვის კარგად იყენებს ინტერნეტსა და სოციალურ ქსელებს.

ჰავალა

“ისლამური სახელმწიფოს” და ასევე სხვა ისლამური ტერორისტული დაჯგუფებების დაფინანსების კიდევ ერთ წყაროდ გამოიყენება ჰავალა-რაც თარგმანში ნდობას ნიშნავს. ჰავალა არის ფულის გადაგზავნის სისტემა ფულის ფიზიკური მოძრაობის გარეშე.



ჰავალა პირველად მრავალი საუკუნის წინ აზიის რეგიონში გამოიყენეს. მას ასევე სხვა დასახელებებიც გააჩნია: Fei-Ch'ien (ჩინეთი), Padala (ფილიპინები), Hundi (ინდოეთი).

ჰავალას უფრო ადრე განვითარდა ვიდრე თანამედროვე საბანკო სისტემები. რაც განპირობებული იყო იმ საფრთხით რომელიც თან ახლდა ოქროთი, ალმასებით, ან სხვა ფასულობებით დატვირთული ქარავანების გადაადგილებას. ჰავალა წარმოადგენდა ანგარიშსწორების გაცილებით უფრო სწავ, მარტივ და უსაფრთხო ფორმას, ვინაიდან არ იყო საჭირო ფასულობების ფიზიკური გადაზიდვა.

აღნიშნული უპირატესობების გამო ჰავალა დღესაც გამოიყენება როგორც თანხის გადარიცხვის სისტემა. თანამედროვეობაში მას იყენებენ აზიისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან ჩრ.ამერიკისა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში სამუშაოდ ჩასული ემიგრანტები. ჰავალას გამოყენებით ისინი მარტივად, სწრაფად და ნაკლები საკომისიო გადასახადით ახერხებენ გამომუშავებული თანხის გადარიცხვას თავიანთი ოჯახებისათვის. ზოგ ქვეყანაში ჰავალა ითვლება არალეგალურად, თუმცა ის მაინც გამოიყენება.

ჰავალას მუშაობის პრინციპი

მთავარი მონაწილეები: ჰავალადარები-


სისტემაში მოქმედი ადამიანები. უმეტეს შემთხვევაში ჰავალადარები ფლობენ სხვადასხვა ბიზნესებს რომელთა ფარგლებშიც ხორციელდება ჰავალადარებს შორის საბოლოო ანგარიხს წორება. ფულის გადარიცხვისათვის საჭიროა კომუნიკაცია მხოლოდ ტელეფონით, სკაიპით, ვაიბერით, ელექტრონული ფოსტით ან კომუნიკაციის სხვა მარტივი საშუალებით.

ჰავალას უპირატესობები ფულადი გზავნილების სხვა სისტემებთან მიმართებაში:

- გზავნილის უსაფრთხოება, სისწრაფე და სიმარტივე;
- ნაკლები ბიუროკრატია;
- ნაკლები საკომისო გადასახადი (სხვაობა მინ. 2-3%);
- უკეთესი კონვერტაციის კურსი;
- არანაერი დოკუმენტაციის წარმოება;

ჰავალას მუშაობის სქემა:

პიროვნება რომელსაც სურს გააგზავნოს თანხა უკავშირება ჰავალადარს [1]. აძლევს მას გადარიცხვისათვის სასურველ თანხას. შემდეგ, ჰავალადარი ა უკავშირდება ჰავალადარ ბ-ს (მაგ: აშშ-დან პაკისტანში), კომუნიკაციის ნებისმიერ საშუალებით და ეუბნება თანხის ოდენობას და რა ერთეულებში უნდა მოხდეს თანხის გაცემა [2]. შემდეგ, ჰავალადარი თანხის გამგზავნს ეუბნება ციპრულ ან სიტყვიერ კოდს რომელსაც გამგზავნი ეუბნება თანხის მიმღებს [3,4]. ბოლოს ეტაპზე თანხის მიმღები მიმართავს ადგილობრივ ჰავალადარს და კოდის წარდგენის შემდეგ იღებს კუთვნილ თანხას [5,6]. ამ სისტემის მოქმედებისათვის საჭირო მხოლოდ 24 საათი.



ჰავალა- -ტერორიზმის დაფინანსების წყარო

ზემოთ აღნიშნული უპირატესობებიდან გამომდინარე ჰავალას საკმაოდ აქტიურად იყენებენ ისლამური ტერორისტული დაჯგუფებები. არა ერთი წყაროს თანახმად “ალ-ქაედა” იყენებდა ჰავალას თანხების გადარიცხვის ოპერაციის აღმოჩენის რისკის გარეშე. ასევე “ალ-ქაედა” იყენებდა ჰავალას 9/11 ტერაქტების დაფინანსებისათვის.

“ალ-ქაედას” არ ჩამორჩება „ისლამური სახელმწიფო“. “ისლამური სახელმწიფო” იყენებს ჰავალას თანხების გადარიცხვისათვის. ეს თანხები შემდგომ ხმარდება მებრძოლეთა ხელფასებს, შეიარაღების შეძენას და სხვა ხარჯებს. არც თუ ისე დიდი ხნის წინ ესპანეთში აღმოაჩინეს ჰავალადარების 250 ადამიანისგან შემდგარი ქსელი, რომელიც თავისი ლეგალური ბიზნესის საფარ ქვეშ ზუსტად ჰავალას გამოყენებით ახორციელებდა თანხების გადაგზავნას სირიაში და ერაყში „ისლამური სახელმწიფოს“ დასაფინანსებლად.

სამწუხაროდ ნაკლები რეგულაციის პირობებში ჰავალა კვლავ რჩება ტერორისტული ორგანიზაციების დაფინანსების ერთ-ერთ მთავარ წყაროდ.

გიორგი რობაქიძე

“ისლამური სახელმწიფო” ფინანსურ კრიზისს განიცდის

“ისლამური სახელმწიფო” ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე არის ის ტერორისტული ორგანიზაცია რომელსაც ყველაზე დიდი ფინანსური რესურსი გააჩია. ყოველ შემთხვევაში ასე იყო 2015 წლის ბოლომდე. რა შეიცვალა? პარიზის ტერაქტების შემდეგ აშშ-ს ხელმძღვანელობით ISIS-ის წინააღმდეგ ფორმირებულმა კოალიციამ ბრძოლა გააძლიერა. ობამას ადმინისტრაციის განცხადებით გააორმაგდა ოპერაცია Tidal Wave 2-ი, რომლის ფარგლებშიც 200-ზე მეტი საჰაერო შეტევა განხორციელდა. დაგეგმილი შეტევების ობიექტებს ნავთობ მომპოვებელი და გადამამუშავებელი ინფრასტრუქტურა წარმოადგენს. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ დიდმა ბრიტანეთმა “ისლამური სახელმწიფოს” წინააღმდეგ საჰაერო შეტევები ბევრად ინტენსიური გახადა.




მათ შორის სამიზნეს Omar Oilfields-ი წარმოადგენდა.

მაშინ როდესაც ორგანიზაციის შემოსავლების უდიდესი ნაწილი სწორედ ნავთობიდან მოდის, ამ ობიექტების განადგურება ორგანიზაციის ფინანსური რესურსების შემცირების პირდაპირპროპორციულია.

ახლო აღმოსავლეთის ინსტიტუტის მკვლევარის ჩარლზ ლისტერის (Charles Ister) განცხადებით მებრძოლების ხელფასები განახევრდა. იგივე

ინფორმაცია ვრცელდება აშშ-ს ოფიციალურ წყაროებში. გარდა ამისა, დაფიქსირდება შემთხვევები, როდესაც ზოგიერთ მებრძოლს რამდენიმე თვის განმავლობაში ხელფასი საერთოდ არ მიუღია.

ასევე აღსანიშნავია, რომ აშშ-ს ლიდერობით ფორმირებული კოალიციის საჰაერო შეტევების შედეგად ნადგურდება ფინანსური ნაკადისათვის ისეთი კრიტიკული მნიშვნელობის ობიექტები, როგორცაა-ბანკები და ნალდი ფულის შესანახად გამოყენებული შენობები. მაგ: 2016 წლის 11 იანვარს აშშ-ს საჰაერო შეტევების შედეგად განადგურდა ნალდი ფულის შენახვის ის ცენტრი, რომელიც პასუხისმგებელი იყო მებრძოლებისათვის ხელფასების გაცემაზე.



სწორედ ის ფაქტი, რომ ექსტრემისტ მებრძოლებს გაუნახვერდათ ხელფასი ან ზოგ შემთხვევაში საერთოდ ვერ იღებენ, მათ აქამდე არსებულ ერთიანობას მორალურად არტყამს. რაც თავის მხრივ ტერორისტული ორგანიზაციის შესუსტებას იწვევს. აქამდე

“ისლამური სახელმწიფოს” რეკრუტირების წარმატებული კამპანია დაფუძნებული იყო დაჯგუფების ფინანსური მიმზიდველობაზე. ფინანსური ნაკადის შემცირება პირდაპირ აისახა უცხოელი მებრძოლების რაოდენობის კლებაზე. კერძოდ: ობამას ადმინისტრაციის განცხადებით თუ ადრე ყოველთვიურად ერწყასა და სირიაში საბრძოლველად 1500 უცხოელი ექსტრემისტი მიდიოდა, ახლა მათი რაოდენობა 200-მდე დაეცა

იქიდან გამომდინარე, რომ “ისლამური სახელმწიფოს” ფინანსური სიძლიერის მნიშვნელოვან ნაწილს მოსახლეობაში აკრეფილი გადასახადი წარმოადგენს, ტერიტორიების დაკარგვა ISIS-ს დამატებით ფინანსურ ზარალს აყებენს.

მოცემული რუკა არის იმის ილუსტრაცია თუ რა ტერიტორიებს აკონტროლებდა “ისლამური სახელმწიფო” 2014 წლიდან 2016 წლის თებერვლის შუა რიცხვებამდე. ISIS-მა ერაყში ტერიტორიების 40%, ხოლო სირიაში 11% დაკარგა.

ამას თან ერთვის თებერვლის შემდეგ ჰამაჰსა (Hamah) და ალ-ჰასაკას (Al Hasakah) და 200-300 კილომეტრიანი მონაკვეთის დაკარგვა აღმოსავლეთ ალექსოთან.



■ ISIS-ის დაკარგული ტერიტორიები ■ ISIS-ის კონტროლირებადი ტერიტორია

ხაზგასასმელი ის გარემოება, რომ ფინანსური კრიზისის დაწყება “ისლამურ სახელმწიფოში” სხვაგვარადაც აისახა. კერძოდ: იმისათვის, რომ ე.ალექსოთან მდებარე სამხედრო ბაზას მუდმივად ჰქოედს ელექტროენერგია, მებრძოლებით დასახლებულ საცხოვრებელ პუნქტებს დენი გრაფიკით მიეწოდება.

ასევე, ექსტრემისტ მებრძოლებს აღარ შეუძლიათ საკუთარი მიზნებისათვის ISIS-ის მანქანების გამოყენება. ამასთანავე, ჯარიმა დაწესდა მოწვევაზე. ის ვინც სიგარეტს მოწვევს გადაიხდის ოცდაოთხი კარატი ოქროს 2 გრამს - 78 დოლარს.

აღსანიშნავია, რომ ასევე მოხდა “ისლამური სახელმწიფოს” ფინანსური ლიდერების ლიკვიდირება, რამაც ფინანსური კრიზისი გაამწვავა. 2016 წლის 25 მარტს პენტაგონის განცხადებით აშშ-ს მიერ განხორციელებული რეიდის დროს მოკლული იქნა აბდ არ-რაჰმან მუსტაფა ალ-ქადული (Abd ar-Rahman Mustafa al-Qaduli), იგივე ჰაჯი (Haji) იმამი, რომელიც “ისლამური სახელმწიფოს” ფინანსთან მინისტრი” გახლდათ. ასეთი საკვანძო ლიდერების ლიკვიდაცია ისედაც შემცირებულ ფინანსური რესურსების არასწორ მართვაში გამოიხატა.

აშშ-ს მიერ ფორმირებული კოალიციისა და დიდი ბრიტანეთის მხრიდან საჰაერო შეტევების გაზრდამ პირდაპირპროპორციულად გამოიწვია ტერორისტული ორგანიზაციის ფინანსური წყაროების შემცირება. ტერორისტული ორგანიზაცია, რომელიც არნახული ფინანსური რესურსებით “ამაყობდა”, დღეს ფინანსური გამოწვევის წინაშე დგას. თუმცა “ისლამური სახელმწიფო” ბოლო მონაცემებით სირიის ნავთობის 60%-სა და ერაყის ნავთობის 5%-ს აკონტროლებს.

თათია მოსიძე

ბელგიიდან მომდინარე ტერორისტული საფრთხეები ევროპისთვის

25 აპრილს აშშ-ს დაზვერვის დირექტორმა ჯეიმს კლაპერმა განაცხადა ევროპაში ტერორიზმის საფრთხის შესახებ, რასაც ბრიტანეთში, გერმანიაში და იტალიაში საიდუმლო ტერორისტული ქსელების გააქტიურება დაედო საფუძვლად. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ევროპაში ინტენსიურად მუშაობენ აშშ-ს სპეცსამსახურებიც, რომლებიც, ერთის მხრივ, ახორციელებენ სპეციალურ სადაზვერვო ღონისძიებებს, მეორეს მხრივ კი აწვდიან ინფორმაციას ევროპის ქვეყნების სპეცსამსახურებს.

შესაძლოა მომავალში ბელგია კვლავ აღმოჩნდეს ყურადღების ეპიცენტრში, რადგან უკანასკნელ პერიოდში გამოიკვეთა ტენდენციები, რომლებმაც დაადასტურა ბელგიაში არსებული საიდუმლო ტერორისტული ორგანიზაციების არსებობა. ეს უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს როგორც ბელგიისთვის, ასევე მთელი ევროპისთვის. ბევრი ექსპერტის მოსაზრებით, ბელგია შესაძლოა ბევრად მასშტაბური ტერორიზმის კერად მოგვევლინოს ევროპის ქვეყნებისთვის.

ჯერ კიდევ 90-იანი წლებიდან მოყოლებული, ბელგიაში არსებობს რადიკალური ისლამის საფრთხე და მოქალაქეთა ტერორისტულ ორგანიზაციებში გადაბირების პრობლემა. ბელგიის ტერიტორია წლების განმავლობაში თამაშობდა ტრანზიტული ქვეყნის როლს იმ პირთათვის, რომლებიც უერთდებოდნენ ტერორისტულ დაჯგუფებებს. 2014 წელს ისლამური სახელმწიფოს დაჯგუფების (ISG) ჩამოყალიბების შემდგომ, სწორედ ბელგიის ტერიტორია გამოიყენება ჯიჰადისტების მიერ გადაბირებისა და მართვის ადგილად.



უკანასკნელ პერიოდში ბელგიის სპეცსამსახურებმა დააკავეს ერთ-ერთი მთავარი ჯიჰადისტი ჰალიდ ალ-ზერკანი (Khalid Al-Zerkani), რომელიც ტერორისტულ ორგანიზაციებში ადამიანების გადაბირებას ახორციელებდა. მოხერხდა მასთან დაკავშირებული პირების დაკავებაც. აღნიშნული ფაქტი იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ, მოკლევადიან პერსპექტივაში, მოხერხდება ტერორისტული საფრთხეების შემცირება, თუმცა, სამომავლოდ, მაინც არსებობს ტერორისტული აქტების განხორციელების მაღალი ალბათობა.

დღეისათვის, დასავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის, სირიაში არსებულ ტერორისტულ ორგანიზაციებში განვევრიანებულ პირთა პროცენტულ უმრავლესობას ბელგიის მოქალაქეები წარმოადგენენ. ბოლო მონაცემებით სირიაში ამ სახელმწიფოდან 600 მოქალაქე იბრძვის, საიდანაც დაახლოებით 85% ისლამური სახელმწიფოს დაჯგუფების წევრია. უკანასკნელი წლების განმავლობაში ბელგიაში ტერორიზმთან დაკავშირებულ ყველაზე აქტიურ დაჯგუფებებად მიიჩნეოდნენ „შარიათი ბელგიისათვის (Sharia4Belgium)“ და „ზერქანის ქსელი“ (Zerkani Network).

„შარიათი ბელგიისთვის“ წარმოადგენდა სალაფიტურ დაჯგუფებას, რომლის მთავარი მიზანი იყო ისლამური წესებისა და კანონების დანერგვა და პოპულარიზაცია ბელგიაში. დაჯგუფება ცნობილი იყო თავისი საჯარო შეკრებებით ისეთ ქალაქებში, როგორებიც არის ანტვერპენი და ბრიუსელი. მათი მთავარი აქტივობა გამოიხატებოდა კრიტიკულ საჯარო გამოსვლებში დასავლური დემოკრატიული ქვეყნების წინააღმდეგ, რომლებიც, მათი აზრით, აკნინებდნენ და საფრთხეს უქმნიდნენ ისლამს. მათი დაჯგუფების ლიდერი აბუ იმრანი (Abu Imran) დაპატიმრებულ იქნა 2015 წელს და მიესაჯა 12 წლიანი პატიმრობა.

2012 წელს დაჯგუფებამ დაშლის შესახებ განაცხადა, რადგან მათმა ლიდერებმა სირიაში გამგზავრება და ტერორისტულ ორგანიზაციებში განვევრიანება დაიწყეს. მათი უმეტესობა ალექსოში არსებულ ტერორისტულ დაჯგუფება - „მაჯლის შურა ალ-მუჰაჯინის“ (Majlis Shura al-Mujahidin) რიგებში განვევრიანდა, რომელსაც აბუ ათირ ალ-აბსი (Abu atheer al-Absi) ხელმძღვანელობდა.

ერთ-ერთი პირველი ტერორისტული დაჯგუფება, სადაც აქტიურად განვევრიანდნენ ბელგიელი და დანიელი მოქალაქეები გახდა ჰუსეინ ელუსააკის (Houssien Elouassaki) დაჯგუფება, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა ჯიჰადისტებს შორის. 2013 წლის მონაცემებით, აღნიშნულ დაჯგუფებაში რამდენიმე ასეული ადამიანი ირიცხებოდა. „მაჯლის შურა ალ მუჰაჯინი“ შეუერთდა ისლამური სახელმწიფოს დაჯგუფებას 2014 წელს. მიუხედავად იმისა, რომ ელუსააკი მიუერთდა ალ-ქაიდასთან დაკავშირებულ ორგანიზაცია „ჯაბათ ალ-ნუსრას (Jabhat al-Nusra), იმ ხალხის უმრავლესობა ვინც „შარიათი ბელგიისთვის“ დაჯგუფების წევრები იყვნენ, პარალელურად ისლამური სახელმწიფოს დაჯგუფებასთან კავშირში იმყოფებოდნენ.

მას შემდეგ რაც „შარიათი ბელგიისთვის“ დაშლილად გამოცხადდა, მხოლოდ რამდენიმე მცდელობა იყო მათ ჩასანაცვლებლად. მაგალითისათვის, ანტვერპენში არსებული ორგანიზაცია „სიცოცხლის გზის“ მხოლოდ რამდენიმე წევრი გამოხატავდა თავის პოზიტიურ დამოკიდებულებას ისლამური სახელმწიფოს დაჯგუფების მიმართ. შეიძლება ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ერთ დროს ანტვერპენში აქტიური გადაბირების მცდელობები ტერორისტულ ორგანიზაციებში გარკვეული პერიოდით შეჩერებულ იქნა. შემოსენებულის გარდა, იკვეთება "შარიათი ბელგიისთვის" კავშირი "ზერქანის ქსელთან", კერძოდ, აპრილის დასაწყისში დაპატიმრებულ იქნა ბელგიის ტერაქტებთან კავშირში ეჭვმიტანილი ბილალ ელ მაჰუჰი (Bilal El Makhoukhi), რომელიც დაკავშირებული იყო ორივე ტერორისტულ ორგანიზაციასთან.

„შარიათი ბელგიისთვის“ გამოსვლების პარალელურად, ჩამოყალიბდა საიდუმლო ტერორისტული ქსელი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ხალიდ ალ-ზერქანი. დაახლოებით ერთი წლის წინ ზერქანის ქსელი აღიარებულ იქნა ყველაზე საშიშ ტერორისტულ დაჯგუფებად ევროპაში. ძმები ალ-ბაკრაუები (El-Bakraoui) რომლებმაც თავი აიფეთქეს ბრიუსელის ტარაქტების დროს, სწორედ ზერქანის ქსელის წევრები იყვნენ. თავიანთი ფინანსური უზრუნველყოფის წყაროდ, დაჯგუფება კრიმინალური ქმედებებს იყენებდა, რაც გამოიხატებოდა ძარცვაში, ყაჩაღობაში და სხვა. ჯერ კიდევ 2010 წელს იბრაჰიმ ალ-ბარკაუი დაპატიმრებულ იქნა ძარცვისთვის. 2014 წელს ის გათავისუფლდა.

ზერქანის მიერ გადაბირებული ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ტერორისტი შესაძლოა აბდელჰამიდ აბაუდი იყოს, რომელმაც დაგეგმა 2015 წელს პარიზში განხორციელებული ტერაქტები. ის არის ერთ-ერთი მთავარი "არქიტექტორი" ისლამური საელმწიფოს დაჯგუფების მიერ ევროპაში განხორციელებული თავდასხმებისა. მაგალითისათვის, როდესაც 2014 წელს ბრიუსელში, მეჰდი ნამუშმა (Mehdi Nemmouche) განახორციელა თავდასხმა ებრაულ მუზეუმზე, როგორც გაირკვა,



ტარაქტამდე იგი დაახლოებით ნახევარი საათის განმავლობაში ეკონტაქტებოდა აბაუდის ტელეფონის საშუალებით. ამის გარდა, 2015 წელს აბაუდი ეჭვმიტანილ იქნა შეთქმულებაში, რომელიც მიზნად ისახავდა ბელგიის პოლიციის მალაჩინოსნის გატაცებას, მის მოკვლას და სიკვდილის ამსახველი ფოტომასალის გავრცელებას ინტერნეტ სივრცეში. ბელგიის სპეცსამსახურებმა ოპერატიულად შეიტყვეს აღნიშნული შეთქმულების შესახებ და განახორციელეს აბაუდის სახლის

ჩხრეკა, რა დროსაც წინააღმდეგობის განვითარების დროს დაიღუპა 2 ტერორისტი, რომელიც თავის დროზე ზერქანის მიერ იქნა გადაბირებული და ამავე ქსელის წევრი იყო.

წარუმატებელი შეთქმულების შემდეგ, აბაუდი გამოჩნდა ისლამური სახელმწიფოს დაჯგუფების ჟურნალ "დაბიქ"-ში. ვრცელ ინტერვიუში მან ისაუბრა იმ ფაქტზე, რომ მიუხედავად სხვადასხვა სპეცსამსახურების მიერ მასზე გამოცხადებული ძებნისა, მას თავისუფლად შეეძლო ბელგიიდან სირიაში და სირიიდან ბელგიაში გადაადგილება. მისი თქმით, იგი ერთხელ გაჩერებულაც კი იყო პოლიციის ოფიცრის მიერ, თუმცა იგი მალევე გაუშვეს, რადგან ოფიცერმა ვერ დაინახა მსგავსება მისსა და სურათზე ასახულ ძებნილ პიროვნებას შორის.

2015 წლის აგვისტოში, აბაუდის კავშირი პარიზიდან ბრიუსელში მიმავალ მატარებელში განხორციელებულ თავდასხმაშიც გამოიკვეთა. 13 ნოემბერს, მისი აქტიური მუშაობის შედეგად, პარიზში განხორციელდა სასტიკი ტერაქტების სერია, რომელთა შედეგად 130 ადამიანი დაიღუპა. რამდენიმე თვეში ზერქანის ქსელში გადაბირებულმა სხვა ტერორისტებმაც განახორციელეს ტერაქტები ბელგიაში.

აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში შეინიშნება ბელგიაში არსებული ტერორისტული დაჯგუფებების შესუსტება და გადაბირების ინციდენტების შემცირება, რასაც ხელი შეუწყო პარიზის ტერაქტების შემდეგ პოლიციის რეიდის დროს აბაუდის ლიკვიდაციამ და ზერქანისთვის 15 წლით თავისუფლების აღკვეთამ. ამის მიუხედავად, ზემოხსენებულმა პირებმა მოახერხეს ასობით ტერორისტის გადაბირება და გადამზადება, რაც ბადებს ეჭვს, რომ მათი ქსელის წევრები და თანამოაზრეები მრავლად იმყოფებიან ევროპის ტერიტორიაზე და მზად არიან ხელახლა გამოჩენისთვის. უსაფრთხოების სამსახურებისთვის ასევე დიდ საფრთხეს წარმოადგენს სირიიდან დაბრუნებული ბელგიელი მებრძოლები - მათ აქვთ საბრძოლო უნარ-ჩვევებითა და გააჩნიათ კონტაქტები. ამის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ როგორც ბელგია, ასევე სხვა ევროპული ქვეყნები კვლავ საფრთხის წინაშე დგანან.

მომავალში, ბელგიის სპეცსამსახურები, სავარაუდოდ, გააძლიერებენ თავის სადაზვერვო მოქმედებებს, რადგან ამ ეტაპზე მათ სასიცოცხლოდ ესაჭიროებათ სირიასთან დაკავშირებული ჯიჰადისტების გამოვლენა. ასევე, უმნიშვნელოვანესია სადაზვერვო თანამშრომლობა ევროპის დონეზე. ბელგიის ტერაქტების შემდეგ, ჰერზილიას საერთაშორისო კონტრტერორისტული ინსტიტუტის პროფესორმა, ბოაზ განორმა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განაცხადა: "ევროპულმა ქვეყნებმა უნდა გადააფასონ ტერორისტული საფრთხეები და თავიანთი მოწინავე ანალიტიკური მეთოდებისა და "ომის თამაშების" გამოყენებით. მათ უნდა ჩამოაყალიბონ ახალი კონტრტერორისტული სპეცსამსახურები და გააუმჯობესონ არსებულები, რათა მათ უზრუნველყონ ეფექტური რეაგირება და წინააღმდეგობა გაუწიონ კომპლექსურ, მულტილოკაციურ, ინტეგრირებულ და ერთდროულ ტერორისტულ შეტევებს". ამის მიღწევას ხანგრძლივი პერიოდი დასჭირდება, რაც გამოიწვევს ბელგიაში დიდი დროის განმავლობაში განგაშისა და მზადყოფნის რეჟიმის შენარჩუნებას.

ნიკოლოზ ხატიაშვილი

გამოყენებული წყაროები:

სირიაში ვითარება ისევ გამწვავდა:

Russia: Syrian 'regime of silence' bans military action, any weapons use: Ifax Apr 29, 2016

<http://www.reuters.com/article/us-mideast-crisis-agreement-russia-idUSKCN0XQ1D3>

Russia, U.S. agree 'regime of silence' in Syria from midnight on Friday: Apr 29, 2016 7:59am EDT

<http://www.reuters.com/article/us-mideast-crisis-syria-russia-usa-idUSKCN0XQ0US>

Kerry warns Syria's Assad of 'repercussions' if truce, transition fail May 3, 2016

<http://www.reuters.com/article/us-mideast-crisis-syria-kerry-idUSKCN0XU243>

US, Russia reach deal on ceasefire in Syria's Aleppo

<http://www.aljazeera.com/news/2016/05/russia-reach-deal-ceasefire-syria-aleppo-160504170234773.html>

Apr 30, 2016 We would send land forces to Syria if needed: Turkish PM May 04, 2016

<http://www.yenisafak.com/en/news/we-would-send-land-forces-to-syria-if-needed-turkish-pm-2461145>

“ისლამური სახელმწიფოს” დაფინანსების წყაროები:

Financial Action Task Force (FATF), Financing of the Terrorist Organisation Islamic State in Iraq and the Levant (ISIL) (February 2015)

<https://www.washingtonpost.com/news/wonk/wp/2015/11/18/how-isis-makes-its-money/>

<http://www.ibtimes.com/islamic-state-how-terrorist-groups-move-millions-without-paper-trail-1698544>

<http://www.economist.com/blogs/economist-explains/2015/10/economist-explains-12>

<http://www.saduseless.com/news/spain-shocked-150000-funding-isis/>

<http://en.europenews.dk/Spains-hawala-network-funds-ISIS-and-al-Nusra-80366.html>

“ისლამური სახელმწიფო” ფინანსურ კრიზისს განიცდის:

<http://www.businessinsider.in/ISIS-finances-are-taking-a-serious-hit-and-its-hurting-morale-inside-the-terror-group/articleshow/51690768.cms>

<http://www.aol.com/article/2016/04/27/islamic-state-keeps-getting-more-and-more-broke/21351716/>

<http://amestrib.com/news/us-led-strikes-putting-financial-squeeze-isis>

<http://www.cbsnews.com/news/less-foreign-isis-recruits/>

<http://www.independent.co.uk/news/world/middle-east/isis-manpower-down-to-lowest-levels-since-2014-as-territorial-losses-continue-in-iraq-and-syria-a6982971.html>

http://www.defense.gov/News/Special-Reports/0814_Inherent-Resolve

<http://www.defense.gov/News-Article-View/Article/639762/coalition-conducts-24-strikes-against-isis-in-iraq>

<https://dronewars.net/2016/05/03/scepticism-over-casualty-claims-drones-may-have-moved/>

<https://www.gov.uk/government/news/update-air-strikes-against-daesh>

http://www.defense.gov/Portals/1/features/2014/0814_iraq/docs/20160315_ISIL%20Areas%20of%20Influence_Aug%202014%20through%20Feb%202016_Map.pdf

ბელგიიდან მომდინარე ტერორისტული საფრთხეები ევროპისთვის:

- <http://www.telegraph.co.uk/news/2016/04/26/open-borders-allow-isil-sleeper-cells-into-europe-and-uk--capabl/>
- <http://www.thedailybeast.com/articles/2015/11/15/how-belgium-became-a-terrorism-hotbed.html>
- <http://www.cf2r.org/fr/tribunes-libres/islamist-terrorism-in-europe-the-case-of-belgium.php>
- <http://www.theguardian.com/world/2015/nov/16/how-belgium-became-breeding-ground-international-terrorists>
- <http://www.cnbc.com/2015/11/17/how-tiny-belgium-became-an-extremist-hotbed.html>
- <http://www.france24.com/en/20160325-khalid-zerkani-brussels-jihadist-preacher-kriket-molenbeek>
- <http://www.businessinsider.com/khalid-zerkani-radicalization-network-belgium-2016-4>
- <https://en.wikipedia.org/wiki/Sharia4Belgium>
- http://www.jamestown.org/single/?tx_ttnews%5Btt_news%5D=45305&tx_ttnews%5BbackPid%5D=7#.Vy0GEIR97Dc
- <http://edition.cnn.com/2015/02/11/europe/belgium-terror-convictions/>
- <http://blogs.reuters.com/faithworld/2012/06/07/belgium-arrests-islamist-for-hate-video-after-riot-over-face-veil-arrest/>
- <http://www.meforum.org/3500/majlis-shura-al-mujahidin-gaza>
- <https://emmejihad.wordpress.com/tag/majlis-shura-al-mujahideen/>
- <https://pietervanostaeyen.wordpress.com/2016/01/01/four-shariah4belgium-members-wanted-by-belgian-police/>
- <http://www.newyorker.com/magazine/2015/06/01/journey-to-jihad>
- http://www.jamestown.org/single/?tx_ttnews%5Btt_news%5D=43966&no_cache=1#.Vy0HWIR97Dc
- <https://web.stanford.edu/group/mappingmilitants/cgi-bin/groups/view/493>
- <http://www.telegraph.co.uk/news/worldnews/middleeast/syria/11080079/Brussels-museum-shooting-suspect-beheaded-baby.html>
- https://fr.wikipedia.org/wiki/Mehdi_Nemmouche
- <https://www.rt.com/news/336840-brothers-suicide-brussels-airport/>
- <http://www.centerforsecuritypolicy.org/tag/khalid-el-bakroui/>

აკადემიის შესახებ

ADVANCING SECURITY AS A PROFESSION!

უსაფრთხოების რობორც პროფესიის განვითარებისთვის!



სამხედროების, სამართალდამცავების, დიპლომატების, მსხვილი კორპორაციებისა და სტუდენტების მომზადების მრავალწლიანი გამოცდილების უსაფრთხოების ექსპერტთა კავკასიის აკადემია (CASE) თავისი სპეციფიკით ერთადერთი კვლევითი და საგანმანათლებლო ორგანიზაციაა სრულიად კავკასიის მასშტაბით. CASE-ის სტუდენტები არიან IT სპეციალისტები, სამხედროები, იურისტები, დიპლომატები, ჟურნალისტები. სხვადასხვა პროფესიის, ასაკისა და ინტერესის ადამიანები. ახალი საფრთხეებისა და გამოწვევების წინააღმდეგ, რომლებიც ჩვენი საზოგადოების, ბიზნესისა და ეროვნული უსაფრთხოების წინაშე დგას, აკადემიის გარშემო შეიკრიბა გამოცდილ პროფესიონალთა ძლიერი გუნდი, უსაფრთხოების

სხვადასხვა სპეციალური სამსახურების თანამშრომლები, ანალიტიკოსები, ინსტრუქტორები, სამხედრო ექსპერტები და სხვა სფეროს წარმომადგენლები კერძო და სახელმწიფო სექტორიდან. ჩვენი მიზანია ხელი შევუწყოთ უფრო უსაფრთხო და სტაბილური გარემოს ჩამოყალიბებას. ამ მეტად ამბიციური მიზნების განსახორციელებლად ჩვენ გვაქვს მოვლენების განსაკუთრებული ხედვა, გაგვარჩია ძლიერი გუნდი, ექსპერტიზა, გამოცდილება და მოტივაცია. აკადემიის საქმიანობა ითვალისწინებს მჭიდრო თანამშრომლობას როგორც სახელმწიფო და კერძო სექტორთან, ისე საერთაშორისო ორგანიზაციებთან. იმისათვის, რომ დავწერგოთ სფეროს ახალი სტანდარტები, მოვამზადოთ კვალიფიციური ადამიანური რესურსი და ხელი შევუწყოთ უსაფრთხო გარემოს ფორმირებას, უსაფრთხოების ექსპერტთა კავკასიის აკადემია ახორციელებს სპეციალურ ტრენინგებს, რომლებიც კავკასიის მასშტაბით სხვაგან არსად არის ხელმისაწვდომი, ატარებს რეგიონალურ და საერთაშორისო კონფერენციებს, ნერგავს ინოვაციურ საგანმანათლებლო პროგრამებს, ეწევა ყოველდღიურ ანალიტიკურ საქმიანობას და ეხმარება სფეროს სპეციალისტებს გამოცდილების გაცვლასა და ერთმანეთთან დაკავშირებაში. აკადემია აერთიანებს სადაზვერვო, ანტი-ტერორისტულ, ტექნოლოგიურ, პოლიტიკურ და დიპლომატიურ საკითხებს, რათა შეავსოს გამოტოვებული ადგილები გლობალური და ეროვნული უსაფრთხოების გარემოში და ხელი შეუწყოს უსაფრთხოების, როგორც პროფესიის განვითარებას.

უსაფრთხოების ექსპერტთა კავკასიის აკადემია (CASE) ძირითად საგანმანათლებლო და კვლევით საქმიანობასთან ერთად ახორციელებს სხვადასხვა ღონისძიებებს საზოგადოებრივი ცნობადობის ასამალლებლად და უსაფრთხოების, როგორც პროფესიის განვითარებისთვის. ჩვენ გვჯერა, რომ გლობალური უსაფრთხოების გარემოს აქტუალური პრობლემების საუკეთესო გადაწყვეტა სწორედ კვალიფიციურ საკადრო რესურსში და ინფორმირებულ საზოგადოებაშია.

სრული ინფორმაციისთვის ეწვიეთ აკადემიის ოფიციალურ ვებ-გვერდს: www.globalcase.org